კვირა, 12 აგვისტო 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 176

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილების შესახებ ავტორს მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრის“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ექიმი
**მ. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—158

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**ვანიზა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილ ს 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ბშილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—15)

**ელექტროთერაპიული**
**კაბინეთი**
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—8)

**ქუთაისში**
კბილის ექიმმა მახარაშვილმა განაახლა ავადმყოფების მიღება. (5—6)

**სამკურნალო**
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**უბლამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თეთრამე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**ბოყოვსკი**—შინ. მთავონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი იოზელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**გოროდცოვი**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**პივარსკი** კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი** ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—22)

დირექტორი საკომერციო სასწავლებლისა, გამგე **მანთაშევის სავაჭრო სკოლისა,** აცხადებს, რომ სკოლა მოთავსდება კომერციულ სასწავლებლის შენობაში და მისაღები საკონკურსო გამოცდა მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში მოხდება 27 და 28 აგვისტოს. თხოვნის შემოტანა და საჭირო ცნობების მიღება სკოლის შესახებ შეიძლება კომერციულ სასწავლებლის კანცელარიაში (10—231—5)

მმ. ნიკიტინების თეატრში
**ოთხშაბათს, 15 ამა აგვისტოს,**
სპარსეთ ს ქართველების
**ყოფილ ჰსოფიინ ონიკაშვილის და ყოფილ რეზა ხუციშვილის**
პატივსაცემად და გიმოსათხოვარად გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა
**ლალაში**
დრამა 5 მოქმ. სუმბათაშვილისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ივანიძე, ნებიერიძე და ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გამყრელიძე, იმედაშვილი, ივანიძე, ჩარკვიანი, სვიმონიძე და სხ.
დასასრულ
**დივერტისმენტი**
ყ. ჰ. ონიკაშვილის და ყ. რ. ხუციშვილის მონაწილეობით
რეჟის. **ვ. აბაშიძე.**
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
ბილეთები იყიდება „წერა-კით. საზოგადოებაში“.

გამოვიდა გასასყიდად
**სილოვ. ხუნდაძის**
ახლად გამოცემული
**ქართული გრამატიკა.**
ახალი გამოცემა შესამჩნევათ შევსებულია, ძველს 58 გვერდით ემატება—და იმავე ფასათ იყიდება, როგორც პირველი, ე. ი.
**ცალი ათ შაურათ.**
**ვინც ნაღდათ არა ნაკლებ 50 ცალისა იყიდის, 20% დაეთმობა**
მსურველთ შეუძლიათ შეეკითხონ ან თვით შემდგენელს (ადრესი: ქუთაისის ქართული გიმნაზია), ან გამომცემელს ვას. ბეჟანეიშვილს (ადრესი: ქუთაისი, საკუთარი წიგნის მაღაზია). (3—2)

ტფილისის ქალაქის
**გამგეობა**
მედროგეთა შესახების სავალდებულო დადგენილების მე-13 პარაგრაფის დანახმად აცხადებს, რომ ტფილისის მედროგეთა მამასახლისის არჩევნები მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში კვირას, 12 ამ აგვისტოს, დილის 10 საათზე. (ქლ. 6. 2—2)

**თეატრი „ფუნიკულერი“**
ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, 1907 წ.
არტისტის კონსტანტინე-მჭედლიშვილის მონაწილეობით
გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა
ერთ ღამეს: რუსულათ „მესტვირე“, ქართულათ: „ყაჩაღები“, „ბრძოლა“ და „ტიმოთეს-ლედვი“.
ვინც თეატრის ბილეთს აიღებს, ის უფასოთ ავა და ჩავა კონკით. ეს დასი გადის 17 აგვისტოდან ქალაქიდან დაწყობილი მცხეთა დუშეთი ვიდრე ბათუმამდის, ერთის თვით.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. გათავდება 11 ს.
რეჟისორი კ. მჭედლიშვილი,
გამგე ვარია-ჩუბინიძე.

ფოთის საბუღალტრო
**კურსები**
**კ გიგინეიშვილისა.**
(წელიწადი მერვე)
თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა იწყება 1 ენკენისთვიდან. მსურველთ პროგრამმები გაეგზავნებათ მუქთად. ერთი წლის და ორი თვის განმავლობაში როგორც კაცი, ისე ქალი ღებულობს კურსებზე საფუძვლიანათ სავაჭრო განათლებას როგორც თეორეტიულს, ისე პრაქტიკულს გერმანულ და ინგლისელ სავაჭრო სკოლების სისტემით. (8—6.—4)

**ხონის სავაჭრო პროგიმნაზია**
დაბა ხონში დაფუძნებულია სავაჭრო პროგიმნაზია, რომელშიაც წელს გაიხსნება მხოლოდ ორი მოსამზადებელი კლასი (უმცროსი და უფროსი) და პირველი პროგიმნაზიული. მოთხოვნილება შემომსვლელთათვის წლოვანობის და ცოდნის მხრით იგივეა, როგორც სამინისტროს სხვა პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებში. ვისაც ჰსურს შვილის მიბარება ამ პროგიმნაზიაში, უნდა შემოიტანოს თხოვნა ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის, ა. ბ. ჰიჰინაძის, სახელზე და თან წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა, ბ) მოწმობა იმისი, თუ რომელს წოდებას ეკუთვნის და გ) მოწმობა ყვავილის აცრისა. პირველ ენკენისთვიდან ხუთამდის იქნება გამოცდა მისაღებ ყმაწვილებისა, ხოლო ხუთს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა. (6—ჰ.—6)

**ქართული წარმოდგენა**
კვირას, დღის 12 საათზე, ძმ. ნიკიტინის ცირკ-თეატრში, ძველი სცენის მოყვარეთა მიერ, სტოლიართა პროფესიონალურ საზოგადოების სასარგებლოდ, გაიმართება.
წარმოდგენილი იქნება:
**ფული და ხარისხი**
და
**ჭკვისა მჭირს**

**დ. ხარაგაულში**
კვირას, 12 აგვ სტოს 1907 წ. ვ. კიკნაძის სახლში
დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება
I
ჩვენი დროის სიყვარული
კომედია 4 მოქ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი მ. მდივანი, ბ-ნნი გ. დადიანი, გუგუშვილი, ყალაბეგიშვილი, ურუშაძე
II
გურული სცენები
წაიკითხავს ვ. ურუშაძე.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია.
დასაწყისი საღამოს 8 ს.
(2—2) გამგე **ვ. ლ. ურუშაძე.**

**ჭიდაობა**
მთავრობის ნებართვით, **დ. სურამში** კვირას, 12 აგვისტოს 1907 წ., კავკასიის უძლეველის ფალავანის **ნესტორ ესებუას** თაოსნობით გაიმართება ფრიად საინტერესო **ჭიდაობა.** 1. იჭიდავებენ სახელოვანი ფალავნები მ. ხურხული და ი. ლაბაძე; გამარჯვებულს 25 მან.; 2. ვ. რევიშვილი დაეჭიდება მეზურნე ქოსა სინის; გამარჯ. 15 მან.; 3. ს ქალიაშვილი დაეჭიდება პ. ბუხნიკაშვილს; გამარჯვებულს 10 მან.; 4. დ. დეკანოიძე დაეჭიდება მ. ვეშაპიძეს, გამარჯვებ. 10 მან., 5. ს. ტატიშვილი დაეჭიდება ა. ჭიჭინაძეს; გამარჯვებულს 10 მან.; 6. კ. მურმანიშვილი დაეჭიდება ბ. იმედაძეს; გამარჯვებულს 10 მან.
ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევს 4 საათზე.
დაუკრავს ზურნა.
უძლეველი ფალავანი ნესტორ ესებუა ითხოვს ყოველ კუთხიდან მსურველს მოჭიდავეებს, საჭიდაოდ როგორც მასთან, ისე მის შეგირდებთანაც. ვისაც ესურვება ჭიდაობა, შეუძლიან გამოცხადდეს ჭიდაობის გამგეს ნ. ესებუასთან და ჩაეწეროს შემდეგის პირობით: ვინც დასცემს ესებუას, ის მიიღებს 100 მანეთს, ხოლო მისი შეგირდებზე კი 15, 25, 50 მანეთამდე. ზემოხსენებული პირობები დაუყოვნებლივ სრულდება თავის დროზე, ხალხის წინაშე.
(1—ფ.—1) გამგე **ნ. ესებუა.**

## ტფილისი, 12 აგვისტო

წარსულ კვირაში ჩვენ დავბეჭდეთ ბრიუნის პარტეიტაგის კამათი ეროვნულ საკითხზე, რომელიც რუსულ ენაზე ლეგალურად გამოვიდა მხოლოდ შარშან. ეს პარტეიტაგი მოხდა 1899 წელს, ე. ი 7 წლის წინად, მარამ საჭიროდ ვცანით მკითხველთათვის დაწვრილებით გაგვეცნო ეს ღირსშესანიშნავი კამათი, რადგან სწორედ იმ დღიდან იწყება ახალი ხანა სოციალ-დემოკრატიულს აზროვნებაში ეროვნულ საკითხის შესახებ.

მართლაც, რა დიდი განსხვავებაა ორტოდოქსალურ მარქსიზმისა და ბრიუნის კონგრესის შეხედულებათა შორის ეროვნულ პრობლემაზე! პირველისთვის ესეთი პრობლემა სრულიადაც არ არსებობს. „მუშებს სამშობლო არა აქვთ. არ შეიძლება მათ წავართვათ ის, რაც არა აქვთ... ეროვნული განცალკევება და ანტაგონიზმი თანდათან ისპობა უკვე ბურჟუაზიის განვითარებით, მსოფლიო ბაზრის გავლენით, სამრეწველო წარმოების ერთსახიანობით... ეროვნებათა შორის ანტაგონიზმი მოისპობა, როცა მოისპობა კლასთა ბრძოლა“... ასე მსჯელობს კომუნისტური მანიფესტი—ეს საფუძველი ს.-დემოკრატიულის აზროვნებისა. ამის მიხედვით ს.-დემოკრატიული პარტიები სხვა და სხვა ქვეყნებისა არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ეროვნულ საკითხს და ყოველგვარ ეროვნულ მისწრაფებასა და ბრძოლას ისე უყურებენ, როგორც მოტყუებას და მუშების განზრახ ჩათრევას „ბურჟუაზიულს საქმეში“... დრონი იცვალენ და ცხოვრების ზედგავლენით ორტოდოქსალურს მარქსიზმშიაც ახალი აზრები შეიპარა. თვით უმართლმორწმუნესი კაუტსკი თავის ახალ თხზულებებში „კრიზისი ავსტრიაში“ და „ეროვნული საკითხი რუსეთში“ სრულებით სხვა აზრებს იცავს და არკვევს. ახლა ის გარკვევითა და პირდაპირ ამბობს, „სოციალდემოკრატია იმდენადვე უნდა იყოს ნაციონალური, რამდენადაც დემოკრატიულია; ნაციონალური ავტონომია უნდა გახდეს ინტერნაციონალურ სოციალდემოკრატიის ლოზუნგად“...

უფრო გარკვეული და თამამი ნაბიჯი ამ საკითხში გადასდგეს ავსტრიის ს.-დემოკრატებმა, რომელთა ქვეყანაში ეროვნული საკითხი განყენებული მცნება-კი არ არის, რეალური ფაქტია,—დიდ ანგარიშის გასაწევი ფაქტი. დიდის კვლევაძიებისა და ყოყმანის შემდეგ ავსტრიის ს.-დემოკრატიის ხელმძღვანელნი და იდეოლოგები იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ ეროვნულ პრობლემის განცალკევებულად არსებობა და მისი დიადი მნიშვნელობა თვით სოციალისტურ მოძრაობის გასაძლიერებლად. გადაიკითხეთ ბრიუნის პარტეიტაგის კამათი და თქვენ გაკვირვებით შეამჩნევთ, რომ ავსტრიის ს.-დემოკრატების მეთაურნი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ თავის მოწინაალმდეგეთა საბუთებს,—იმ საბუთებს, რომელთა გამომთქმელებს წინად შოვინისტებად და ბურჟუებად იხსენიებდნენ. რამდენჯერ გვსმენია, მაგალითად, რამდენჯერ გაგვიგონია ჩვენებურ ს. დემოკრატებისაგანაც, რომ ეროვნულ საკითხის წამოყენება „პროლეტარიატის თვითშეგნებას აბნელებსო“?! ახლა-კი ცნობილი პერნერსტორფერი, ერთ-ერთი ბელადი ავსტრიელ ს.-დემოკრატებისა, ამბობს: „თუ კიდევ არიან პარტეიტაგში იმ აზრის დამცველნი, ვითომ ეროვნულ საკითხის წამოყენება პროლეტარიატის თვითშეგნებას აბნელებსო, მაშინ უკეთესი იქნება ჩვენის პროგრამიდან ამოვშალოთ სიტყვა „დემოკრატიული“, რადგან დემოკრატიას არ შეუძლია არ მოითხოვოს ყველა ერთათვის თავისუფალი არსებობა“... რამდენჯერ გაგვიგონია ყველა ქვეყნის ს.-დემოკრატებისაგან, რომ მუშები სრულიადაც არ არიან დაინტერესებული ეროვნულის ბრძოლით, ეროვნულის მისწრაფებითაო! ახლა ზელიგერი, ადლერი, დაშინსკი, ელენბოგენი და სხვა ამგვარივე მნათობნი ავსტრიის ს.-დემოკრატიისა ამბობენ: „ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დღევანდელს პირობებში, ეროვნულ საკითხის გადაუწყვეტლობისა გამო, ყველაზედ უფრო მშრომელი ხალხია დაჩაგრული“... ამიტომ საჭიროა „შევამციროთ ეროვნებათა შორის არსებული მიხლა-მოხლა; თავიდან მოვიშოროთ ის ზედ-მეტი ბალლასტი, რომელიც დღეს სოციალურ ცხოვრების შინაარსში შედის; მხოლოდ ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ პროლეტარიატი თავისუფლად ამოისუნთქავს და უფრო მარჯვედ წავა სოციალიზმისაკენ“... ვისაც ახსოვს ჩვენი კამათი ჩვენებურ ს.-დემოკრატებთან, ის ადვილად მოიგონებს, რომ ასეთივე იყო შინაარსი ჩვენის საბუთებისა, რომლებისთვის არა ერთხელ დავიმსახურეთ აქაურ ს.-დ. „წვრილ ბურჟუებისა“, „პატრიოტ-შოვინისტებისა“ და სხვა ამგვარი სახელები...

მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას აგრეთვე საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის კონგრესს, რომლის საინტერესო ანგარიში გუშინ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში და კვლავაც დავბეჭდავთ. მკითხველი დაინახავს, რომ საფრანგეთის ს.-დემოკრატიის აზროვნებაშიც ხდება ცვლილება ეროვნულ საკითხის შესახებ. საფრანგეთის ს.-დ. ბელადნი—ჟორესი, გედი, ლაფარგი და სხვანი გულმოდგინეთ იცავენ ეროვნულ იდეას, რომელსაც „დიდი ფასი და მნიშვნელობა აქვს სოციალიზმისა და კაცობრიობისათვის“. გედი სასაცილოდ იგდებს იმ სოციალისტებს, რომელნიც გაიძახიან—ჩვენთვის სულ ერთია პოლიტიკურად დამოუკიდებელი თუ დამონავებული იქნება საფრანგეთიო; ჟორესს გაჰყავს განსხვავება, რომელიც არსებობს ნამდვილ პატრიოტიზმსა და შოვინიზმს შორის და სხვა და სხვა...

ამნაირად, მარტო რუსეთის ს.-დემოკრატია და მისი ერთგული ყმა—ქართველი ს.-დემოკრატები — არ იცვლიან ფეხს ერთხელვე მიღებულ პოზიციიდან და დღესაც თუთიყუშებივით იმეორებენ ნახევარ საუკუნის წინ დაწერილ ფრაზას, მუშებს სამშობლო არა აქვთო. რას იზამთ, ასეთია რუსეთის ბედი და სწორედ ამაში გამოიხატება მისი ჩამორჩენა: უფროს ძმისაგან მიღებული ძველი ქურქი უნდა იმ დრომდე ატაროს, სანამ ძონძებათ არ იქცევა.

* *
*

როს ბნელი ღამე მოიცავს არეს
და ღრუბელთ გუნდიც დასჩრდილავს მთვა-[რეს,
მაშინ სიმღერა მესმის მწუხარე
და თვალთ მიტომ მდის ცრემლი მდუღარე!
წყლის პირას ტაძვი ჩაყვითლებული
ნელად ირხევა... ჰგლოვობს ბულბული!
თუ კვნესა ვისმეს გულს აღმოჰხდება,
მსწრაფლ ხმა მთა-ბარსა მოეფინება!
მჩქეფარე ტალღა შეწუხებულა,
კლდეს ქაფს ვერ უწევს, მიყუჩებულა!
მხოლოდ დემონი კვლავ დანავარდობს!
განადგურებას ხალხისას ჰლამობს!..
ზოგჯერ ნიავი წყნარად სიმღერას
ყურში ჩამძახის,—არ მიტკბობს სმენას;
იგი სიმღერა არის მწუხარე
და თვალთ მიტომ მდის ცრემლი მდუ-[ღარე!..

**ა. შანშიაშვილი.**

## ახალი ამბავი

✦ **ს. ფედერალისტების დადგენილება.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ს.-ფედერალისტთა პარტიის დელეგატთა კრებას, დიდის ხმის უმეტესობით, დაუდგენია ბოიკოტი გამოუცხადოს მომავალ არჩევნებს მესამე სათათბიროში. პარტია იღებს მონაწილეობას საარჩევნო აგიტაციაში მხოლოდ თავის პროგრამისა და ტაქტიკის დასაცველად.

✦ **კავკ. სოც. დემ. კონფერენცია.** გაზეთ „რეჩს“ ატყობინებენ: „ამ დღეებში გათავდა რუსეთის სოც. დემ. პარტიის კავკასიის ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კავკასიელთა შორის მომავალ არჩევნებისადმი სრული გულგრილობა მეფობს. რადგან კონფერენცია განსაკუთრებით „მენშევიკებისგან“ შესდგებოდა, ამიტომ საკითხი ბოიკოტის შესახებ არც კი განუხილავთ. კონფერენციამ დაადგინა,

დაუყონებლივ შესდგეს საარჩევნო ბიუროები და ბრძოლა გამოეცხადოს ბოიკოტისტურ მიმართულებას“.

✦ **ყუმბარები ბაქოში**. 9 აგვისტოს ბაქოში, საეკლესიო ქუჩაზე, ახუნდოვის სახლში პოლიციას აღმოუჩენია ერთი ყუმბარა, სამი ფუთი ვერცხლის წყალი, 275 პატრონა და 53 პატრუქი. დააპატიმ. ეს სადგომის პატრონი ჯევათ-ოღლი და იმისი დედა.

✦ **ქალაქის თავის მოადგილის და ბოქაულის მოკვლა**. სოხუმში 9 აგვისტოს, დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, მოუკლავთ ბოქაული სკორიკოვი და ქალაქის თავის მოადგილე კორჩიცი. მკვლელობა მომხდარა „ბირჟის“ სასტუმროში, ვახშმის დროს, მრავალ საზოგადოების თვალწინ.

✦ **რეაქცია სპარსეთში**. 24 ივლისს, როგორც გვატყობინებენ, სპარსეთის ჯულფში, სადაც მთელი ზაფხული პარასკეობით მახლობელ სოფლებიდან მილიცია თავს იყრიდა, რომ ეჩვენებინა თვისი სამხედრო უნარი ჯულფის ბაზრისათვის, ჩამოვიდა ჯარით აქიმ-ხანი. რამდენისამე დღის განმავლობაში იგი აქედან ძრიელ დამსჯელ რაზმებს ჰგზავნიდა სოფლებში. 4 აგვისტოს ჯულფაში ჩამორეკეს 5 ათასამდე მსხვილი საქონელი, რომელიც სოფლელებისათვის წაერთმიათ რაზმებს. საქონელი ქარვასლებში დაამწყვდიეს. სოფლებიც დაცარცვეს. ერთი ! ერთი, რომელმაც დამოქნის მოხელეს რევოლვერის სროლა გაუბედა ანჯუმის შეურაცყოფისათვის და ააცდინა, დაუტყვევებია აქიმ-ხანს და იმასთან ერთად სხვა სოფლელნიც. რეაქციის გაძლიერებას ადერბეიჯანში მოჰყვა გუბერნატორების ახლად დანიშვნა, რომელთაც მეტი უფლებები ექმნებაო, ვიდრე წინად ჰქონდათ. თავრიზიდან განკარგულებას ელის ხალხი. ამ პირველმა იერიშმა რეაქციისამ ხალხი შეაშინა, თუ ხელი შეუბრუნა რეაქციას, უთუოდ დიდი სისხლის ღვრა დაიწყება.

✦ **ფილარმონიულ საზოგადოების კრება**. 26 აგვისტოსათვის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კრება ტფ. ფილარმონიულ საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი სამუსიკო სკოლის დაარსების შესახებ.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი**. იგზავნებიან: პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგის მცხოვრები გრიგოლ მახარაშვილი—ჰბრალდება ქურდობა და ექსპროპრიაცია; სამი წლით—საოფლისწულო უწყების სარდაფის მოსამსახურენი ტარას ანავაძე, ვასილ ბიძინაშვილი, ნიკოლოზ შახაპარუმოვი, ნიკოლოზ ანავაძე და დიმიტრი ოვაური—ჰბრალდებათ ამავე სარდაფის მუშის მოკვლაში მონაწილეობა; ვიატკის გუბერნიაში ორი წლით—გორის მაზრაში შეპყრობილნი ხარაზ აქოფოვი და შალვა ფალავანდიშვილი—პირველს ჰბრალდება ჩამბაროვის და ნუკრაძის მკვლელთა დამალვა, მეორეს—პოლიციელზე თავდასხმის გეგმის შედგენა; ამავე გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—ზაქათალის მცხოვრები კ. აკოფიანცი—ჰბრალდება იარაღით ვაჭრობა. არხანგელსკის გუბერნიიდან გამოქცეული და ამას წინად შეპყრობილი ნიკოლოზ ცომაია სამი თვის დაპატიმრების შემდეგ ისევ არხანგელსკის გუბერნიაში იგზავნება. ტფილ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა მეეტლეს კ. მნაცაკანოვს, რომელიც პოლიციას გაუძალიანდა. 25 მანეთით დააჯარიმეს სახლის პატრონი ბაბა ეივაზოვი.

✦ **ა. ს. ბაბოვის გადაყვანა**. რკინის გზის ტფ. სატეხნიკო სასწავლებლის ინსპექტორად ნამყოფი ა. ს. ბაბოვი გადაიყვანეს შიდა რუსეთში. ბ. ბაბოვი დროებით აპირებს ახალ ადგილზე წასვლას.

✦ **ხოლერის მოლოდინში**. ხოლერის მოლოდინში ტფ. ქალაქის გამგეობა შეუდგა სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. ა. ს. ბაბოვმა წინადადება მისცა ქალაქის ინჟენერს ქურდიანს, ინჟენერ ლისიციანთან ერთად გამოარკვიოს მაქსიმუმი იმ წყლისა, რომელიც საჭიროა ქალაქის ქუჩების მოსარწყავად. წინადადება მიეცა აგრეთვე უბნის არქიტექტორებსა და ათის თავებს, ოქმები შეადგინონ, როცა რაიმე უსუფთაობას ნახავენ. გარდა ამისა, გაზეთების საშუალებით მცხოვრებთ გამოეცხადებათ, იხმარონ ყოველივე ღონე საცხოვრებელ სახლებისა, ეზოებისა და ქუჩების დასასუფთავებლად, დამნაშავე პასუხის გებაში იქნება მიცემული.

✦ **მასწავლებლის დაჭრა**. 10 აგვისტოს პოლიციის მე-7 ნაწილში იმ დროს, როცა ნიკოლოზის სახელობის ქალაქის სასწავლებლის ინსპექტორი პეტრე კაზანცევი სამასწავლებლო ოთახში იყო, ვიღაც უცნობმა ორჯელ რევოლვერი ესროლეს და დასჭრეს გვერდსა და ფეხში. პოლიციის გამოძიებით, ინსპექტორი დასჭრეს იმავე სასწავლებლის მოსწავლეებმა—გეკილოვმა და კირიაკოვმა, რომელნიც უკვე დააპატიმრეს.

✦ **გამოფენა**. 25 სექტემბერს პეტერბურგში გაიმართება გამოფენა სრულიად რუსეთის მეხილეობისა და მოსტნეულობისა. ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება გადაუწყვეტიათ სახელმწიფო საწერგეებსა და კერძო მებაღეებს.

✦ **სხდომა**. ორშაბათს, 13 აგვისტოს, საღამოს 8 საათისთვის, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის სასანიტარო სამკურნალო საბჭოსი და უბნების ტეხნიკოსებისა და ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებისა. კრებამ უნდა შეიმუშაოს ხოლერასთან საბრძოლველი გეგმა. კრებას ქალაქის გამგეობის წევრნიც დაესწრნენ.

✦ **პოლიტიკური საქმე**. ორშაბათს, 13 აგვისტოსთვის ტფ. ოლქის სასამართლოში დანიშნულია საქმე ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის პარუირ ლევონიანცისა, რომელსაც ჰბრალდება სომეხთა დემოკრატიულ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულს დაიცავს ტ. იოანესიანცი,

✦ **ყუმბარის გადაგდება**. გროზნაში 9 აგვისტოს საღამოთი ყუმბარა გადაუგდიათ კულიშოვის მაღაზიაში. მძიმედ დაჭრილა ქუჩაში გზად მიმავალი ზეინკალი.

✦ **თავის მოკვლა**. გუშინ წინ, მეცხრე უბანში, არსენალის გზაზე, რევოლვერით სასიკვდილოდ დაიჭრა თავი ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებმა დავით კავსაძემ. ტყვია პირში მოხვდა და კეფაში გავიდა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც იგი გარდაიცვალა.

✦ **გაზეთების დაკეტვა**. ბათუმში დაიკეტა რუსული გაზეთი „ჩერნ. ვესტნიკი“. ბაქოში კიდევ გრაძონაჩალნიკმა დაკეტა გაზეთი „გოლოს ბაკუ“.

✦ **გაფიცვა ბაქოში**. 10 აგვისტოს ბაქოში გაიფიცნენ კასპიის ამხანაგობის მუშები.

✦ **გორის სინდიკატის თხოვნა**. გორის სამეურნეო სინდიკატის გამგეობას სათავად-აზნაურო საკრებულოს პირით შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის მთავრობის წინაშე, რომ ეპატიოს საინტენდანტოს ვალი, ფულად 8900 მანეთი და დირებულება 5189 ტომრისა, რომელიც გლეხებს დაურიგეს და უკან ვეღარ დაიბრუნეს.

✦ **ახალი თანამდებობა**. მიწათმოქმედების დეპარტამენტს განუზრახავს ახალ წლიდან დაარსოს კავკასიაში ახალი თანამდებობა პირუტყვის მოშენების მცოდნეთა, რომელსაც დაევალება ადგილობრივ საქონლის მოვლა-მოშენების საქმისა და მერძევეობის გაუმჯობესება.

✦ მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ მე-8 ნომერი. შინაარსი: „ჩვევანი გულწითელა“ (რუსულიდან); „სიფრთხილეს თავი არა სტკივა“, ანიკოსი; „ბროლია“, გადმოკეთებული ტასოსი; „რა მშვენიერებაა!“ ფრანგულიდან შურასი; „ქალბატონი ტეოფილე“, მოთხრ. ტეოფილე გოტიესი (ფრანგულიდან) ეკ. წერეთლისა; „ორი ძმა“, ხალხური ზღაპარი; „როგორ ზრდიან პირუტყვები თავიანთ შვილებს. დათვები“, ა. ფ—ვასი; „წვრილმანი: გასართობი, ანდაზები, გამოცანები, შარადა, რებუსი; „ორი ყორანი მოტლასდიის ბალადა,“ იასამანისა; „განთიადი ახალ ცხოვრებისა,“ გაგრძელება, ხატალია კასრაძისა; „ცრემლებით აღვსილი სურა“, ბეშტაინის ზღაპარი (გერმანულიდან) ალ. ყუმისთავლისა; „ღარიბების მეგობრები“, (გაგრძელება) ივ. გომართელისა; „საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან“, გაგრძელება ს. გორგაძისა; „უგულო ბავშვი“, მოთხრობა მონგომერისა, თარგ. ეკ. წერეთლისა; „მსოფლიო ისტორია“ ერ. ლავისისა. (ფრანგულიდან) ალ. სარაჯიშვილისა.

✦ 10 აგვისტოს, დილის 12 საათზედ, პოროხოვოი შესახვევში, ორი შეიარაღებული კაცი შეუვარდა კობიაშვილის ქალს და მუქარით მოსთხოვა ფული. უცნობებმა გაიტაცეს 200 მანეთი. ქალმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რისთვისაც იგი რევოლვერით დასჭრეს ხელში და მიიმალნენ.

✦ ამავე დღეს, დილის 11 საათზედ, ორი უცნობი ახალგაზდა შევარდა ებრაელების საყასბოში, მუხრანის ქუჩაზე. იძგრეს რევოლვერები და ფული მოითხოვეს. საყასბოს პატრონი გარედ გამოვარდა, ხოლო უცნობებმა ამოიღეს კასიდან 100 მან. და მიიმალნენ.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ახალმა მზრუნველმა ნ. თ. რუდოლფმა გუშინ წინ დაათვალიერა ოლქის სამზრუნველოს დაწესებულება ჭავჭავაძის ქუჩაზე. მზრუნველს ეს შენობა არ მოსწონებია და განუზრახავს კანცელარია გიმნაზიის შენობაში გადაიტანოს. ამასთან მზრუნველს სურვილი გამოუთქვამს, რომ ოლქთან არსებული ბიბლიოთეკა გატანილ იქმნას საისტორიო მუზეუმში.

✦ გუშინ ტფ. პოლიცმეისტრის კანცელარიაში ახალს პოლიცმეისტერს ბ. ციხოცკის წარუდგნენ ბოქაულები თავიანთ თანამოსამსახურეებით. პოლიცმაისტერმა მათ მოკლე სიტყვით მიმართა.

✦ 10 აგვისტოს, საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ, ტფ. მოქალაქეს დავით ზალდასტანოვის სახლში შეიჭრა ორი შეიარაღებული კაცი და მოითხოვა ფული. უცნობებმა უარი მიიღეს, რისთვისაც ზალდასტანოვი დასჭრეს ხელში და მიიმალნენ.

✦ ამას წინად, როგორც ვწერდით, ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის გამგემ აცნობა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ ტფ. სააბრეშუმო სადგურის გამგე ბ-ნი შავროვი წყალს არ უშვებს საბაღოსნო სასწავლებლის ბაღისათვის და დიდ ზარალს მოველითო. ამაზე ბ. შავროვს მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელისათვის უცნობებია, რომ საბაღოსნო სასწავლებელს აუზი გაფუჭებული აქვს, სარწყავი არხები მინგრეულ-მონგრეული და დღეში უმიზნოდ 8 მან. წყალი იკარგებაო. რწმუნებულმა ცნობები მოსთხოვა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ამის შესახებ, რაზედაც საბჭომ უპასუხა, რომ ბ-ნ შავროვის მოხსენება სიმართლეს მოკლებულიაო. სარწყავი არხები ძალიან კარგად არის მოწყობილი და თუმცა აუზი დაზიანებულია, მაგრამ საჭირო არც კი არის, რადგანაც უმისოდ ბაღ-ბოსტანი კარგათ ირწყვებაო. შავროვის თვითნებობის დიდი ზარალი მიუყენებია საბაღოსნო სასწავლებლისათვის; გაფუჭებულა ბოსტანი, ტროპიკული მცენარეები და სხვა.

✦ გუშინ, 11 აგვისტოს, პოლიციის მე-5 ნაწილში საიარმუკო მოედანზე, კრტას ხაზდა უბედურება არ დატრიალდა. იმ დროს, როცა ერთი მეფურგონე ლიანდაგზე გადადიოდა, გაქანებული ვაგონი [illegible] რომ თუმცა ფურგუნს დაეტაკა, მაგრამ [illegible] რა-რა.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ხოლერის მოლოდინში გააკრა ქუჩებში განცხადება, რომლითაც ავალებს სახლის პატრონთ, ერთის კვირის განმავლობაში გასწმინდონ სიბინძურისაგან ეზოები, ქუჩები და არხები. ერთი კვირის შემდეგ სახლების სინჯვას შეუდგებიან სასანიტარო კომისიები.

✦ ხონის სავაჟო გიმნაზიისთვის სახლი უკვე მზად არის. ავეჯი სამი კლასისათვის, ორის მოსამზადებელ განყოფილებისათვის და პირველ კლასისათვის მზად არის და საქმის მეთაურთ იმედი აქვთ, 5 ენკენისთვეს სწავლა დაიწყონ. ბ-ნი ივანე ბარამიძე, გიმნაზიის დაარსების ინიციატორი, ამ ჟამად სცდილობს ფული მიიღოს იმ დაწესებულებათაგან, რომელთაც დახმარება აღუთქვეს.

✦ ქართულ გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის, სამშენებელო კომისიის და პედაგოგიურ საბჭოს წარმომადგენელთა შეერთებულმა კრებამ კვლავ იქონია მსჯელობა ინჟინერ სახაროვის მიერ შედგენილ გეგმის ესკიზზე და ხმის უმეტესობით მიიღო იგი. ამ პროექტით კლასის ოთახები სამხრეთისაკენ იქნებაო მოქცეულნი და არა ჩრდილო-დასავლეთისაკენ, როგორც ამას მოითხოვდა უმცირესება.

✦ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი არა ჩვეულებრივი კაცი გამოდგა, ამ დროისთვის მაინც. ჯერ იყო და მოსამსახურეთ აუკრძალა ქართულად ლაპარაკი, ეხლა დაბალ მოსამსახურეებს, მათის პირდაპირ მოვალეობის ასრულების გარდა, ავალებს ისეთ საქმეებს როგორიც არის წყლის მიტანა და შეშის დაჭრა. მოსამსახურენი იძულებულნი არიან შეასრულონ უფროსის უკანონო მოთხოვნილება, რადგან უამისოდ სამსახურიდან იქნებიან დათხოვნილი.

✦ ორ თვეზე მეტია, რაც ქალაქის გამგეობამ საჯაროდ გამოაცხადა იმ სახლის პატრონთა გვარები, რომელთაც 50 მანეთზე მეტი მართებთ ქალაქისა და კასაში არ შეაქვთ. რადგან ვერც ამან გასჭრა, ქალაქის გამგეობამ შესაფერი საჩივარი აღძრა მათ წინააღმდეგ და ამ ცოტა ხანში მიიღებს უფლებას უპირულ მოქალაქეთა მამულების შემოსავალს სეკვესტრი დაადოს; თუ შემოსავალმა ვერ გაისტუმრა ქალაქის ვალი, მაშინ სახლები გასასყიდად აიწერება. გამგეობის დაკვირვებით წვრილი მემამულენი გადახადს

# ფელეტონი

### ამონაკვნესი

იერიქონის კედლების წინა ვდგევარ [მდუმარე
და თვალთაგან მდის ნაკადული, ცრემლი [მდუღარე;
ვტირი: არა აქვს ჩემს ვაებას, წუხილს [საზღვარი;
რომ დაკოდილს გულს ესალბუნოს, არავინ არი...
ოხ! რად არ ძალმიძს მე ბედკრულსა, [რომ ვკრა შურდული
ბილწსა გოლიათს, ჯალათ-მტარვალს გა-[ნურთხო სული!
სამოელისებრ მოვევლინო ხალხსა ტან-[ჯულსა,
სისხლის ცრემლები თვალთ მოვწმინდო [წამებ-გვემულსა!
დავცე მონობა, აღვადგინო თავისუფლება
დავამხო მტარვალთ ჯადოქრული, ფარ-[თო უფლება!
რად არ მაქვს ძალა სამსონისა, ნეტავ [ვიცოდე,
რომ სახედრის ყბით ფილისტიმელებს უწყა-[ლოდ ვხოცდე!..
ნეტა შემეძლოს ისო ნავინს აქ მოვუწოდო
და ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამი იმას მოვუ-[თხრო:
შეაჩეროს გზა, ძირს დაამხოს სისხლით [მოსვრილი
და ალადგინოს ქვეყნად ხალხი, ძლევა [მოსილი!..
სად არს სიმართლე, სად არს, ერთი [მითხარით, ძმობა?
ყველა თვალთ-მაქცობს, არვის კაცი არ [მიენდობა...
და თუ მოჰყევი მატყუარას გაბმულსა [ქსელში,
სიმწარეს გასმევს, ეს იცოდე, შენ სიცო-[ცხლეში...

**გორ...**

### კეთილი და ბოროტი სული

**იუხან ახოსი*)**

ზამთრის სუსხიანი ღამე იყო. მთელი ქვეყანა უკუნეთს მოეცვა. მზე ჩაესვენა, მაგრამ არ გაუვლია დიდ დროს, რომ დაბალი ქოხები ლამპრების შუქმა გაანათა, და გახარებული ხალხი მზისა და დილის მოლოდინში ამ ლამპრების გარშემო შეიკრიბა.

ეს არ მოეწონა სიბნელის ბოროტ სულს, რომელიც კარგა ხანია ამ ქვეყანას დაჰპატრონებოდა. დაინახა თუ არა ქოხებში სინათლე, გაბრაზებული გაქანდა, „ფუ“-ო, შეუბერა და უწყალოდ დააქრო ლამპრები.

დამძმარდა ხალხი. არავის შეეძლო ხელახლა აენთო ბოროტ სულის მიერ ჩამქრალი ლამპრები.

— რა ვქნათ ეხლა?—მწარედ ეკითხებოდნენ ერთმანეთს მცხოვრებნი და ბნელაში აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს.

მაგრამ რა წამს ქოხიდან ბოროტი სული გაჰქრა, გაჩნდა სინათლის კეთილი სული.

— შენ გააქრე, მე კიდევ მოუკიდებ?—წამოიძახა მან მხიარულად და, ლამპრების ნაცვლად, სანთლები აანთო.

და ასე, კეთილი სული კვალ და კვალ მისდევდა ბოროტ სულს და ანთებდა სანთლებს. ბოროტმა სულმა ყველა ქოხი შემოირბინა და ყველგან ჩააქრო ლამპრები. მაგრამ ჩნდებოდა კეთილი სული ყველგან, სანთლებს უკიდებდა და ხელახლა სინათლეს აჩენდა.

როდესაც ბოროტმა სულმა უკან მიიხედა და სინათლე დაინახა, ძალიან გაოცდა. ხელად გაქანდა, „ფუ“-ო, დააქრო სანთლები და კვლავ უკუნეთი გაამეფა.

დამძმარდა ხალხი. არავის შეეძლო ხელახლა აენთო ბოროტ სულის მიერ ჩამქრალი ლამპრები...

— სანთლებიც დააქრო! რა ვქნათ ეხლა?—მწარედ ეკითხებოდნენ ერთმანეთს წყვდიადში მსხდომნი.

მაგრამ რა წამს ბოროტი სული არემარეს განშორდა, გაჩნდა კეთილი სული და ჩურჩულით იკითხა: კვარი ხომ არ მოიპოვება ქოხშიო.

კვარი აღმოჩნდა: იგი ძველად დარჩენოდა კეთილ მოხუცს, რომელსაც ბლომად დაემზადებინა და შეენახა. კეთილმა სულმა ხელად გაღვივა ნახშირი, მოუკიდა კვარს და წამოიძახა:

— შენ ჩააქრე, ჩააქრე, მე კი ავანთებ! და ჩამქრალ სანთლების ნაცვლად ყველა ქოხში ანთებული კვრები გაჩნდა.

ბოროტმა სულმა უკან მოიხედა, სინათლე დაინახა და წინანდელზე უფრო ძალიან გაბრაზდა. კვლავ გაქანდა ქოხებისკენ და შეიჭრა ყველგან. „ფუ!“-ო, შეუბერა კვარს, მაგრამ ერთბაშად ვერ გააქრო. „ფუ!“-ო, უფრო მაგრად შეუბერა მეორედ და კვარი ჩააქრო.

დამძმარდა ხალხი. არავის შეეძლო ხელახლა აენთო ბოროტ სულის მიერ ჩამქრალი კვრები.

— რა ვქნათ ეხლა?—უფრო მწარედ ეკითხებოდნენ ერთმანეთს წყვდიადში მსხდომნი.

მაგრამ, აი, კვლავ გაჩნდა კეთილი სული.

— ცეცხლი გააჩინეთ კერაში!—დაიძახა მან.

მალე ალი ავარდა და კერამ მხიარული გუგუნი მორთო.

— შენ ჩააქრე, ჩააქრე, მე კი მოუკიდებ!—სთქვა კეთილმა სულმა.

გაბრაზდა ბოროტი სული. სულ ცოფებსა ჰყრიდა. თვალებ ანთებული, იგი შურდულივით შევარდა პირველ ქოხში.

— ფუ! ფუ! ფუ!—უბერავდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ბოროტი სული ცეცხლს.

მაგრამ ცეცხლი არა ჰქრებოდა. პირიქით, რაც უფრო მეტს უბერავდა, ცეცხლი მით უფრო ღვივდებოდა და ალიც უფრო მაღლა ადიოდა. მან გაანათა არა თუ თოვლით გადაპენტილი მინდვრები და ხეები, არამედ ზევით ავარდნილმა ალმა დღესავით გააშუქა მივარდნილი სოფლები და სხვა ქვეყნებიც-კი.

ბოროტი სული თავს იცხელებდა, ტყავიდან ძვრებოდა, სცდილობდა ძალზე, მაგრამ კერაში ცეცხლის ჩაქრობა მაინც ვერ მოახერხა. და ვიდრე ბოროტი სული ამ საქმეში იყო გართული, ცეცხლი საჭირო აღარ იყო ბოროტი სულის მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა. ხომ ყველამ იცის, რომ სინათლეზე, მზის შუქზე ბოროტი სულნი კვალ წმინდად ჰქრებიან, ხოლო ღამ-ღამეობით ჩვენ სამშობლოს სინათლის კეთილი სულნი იცავენ.

—**მე.**

*) იუხან ახო—ფინლიანდიელი მწერალია.

### პატარა ცემი და ექ. ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი

**(გაკვლით)**

„ვისაც ნეაპოლი არ უნახავს, მას არაფერი არ უნახავსო“, ამბობდნენ ძველი რომაელები. ჩვენ კი ვიტყვით: „ვისაც ბაკურიანის ხეობა და მისი მიდამოები არ უნახავს, მას არ უნახავს ჩვენი ქვეყნის სიმშვენიერის თვალ-გაურგვიხიო“. მართალია, დიდებულია ალაზნის ველ-მინდვრები გომბორის მთიდან, ამაყი და მედიდურია ხვამლის მთა, რომელიც არწივივით თავს დაჰყურებს მთელს დასავლეთ საქართველოს; თვალ-წარმტაცია კავკასიონის კალთებზე მიფენილი სვანეთის მიდამოები; მაგრამ ყველა ამეებში განსხვავებული ალაგი უჭირავს პატარა-ცემს და მის არე-მარეს. აქაური მედიდური ბუნება, მისი მრავალფეროვნება, საამურად აზნექილ-დაზნექილი ფიჭვ-ნაძვნარით შემოსილი გორაკ-მწვერვალოები, ციცაბო კლდეები და ზოგან გაშლილი პატარა ველები, ცხრა-წყაროდან—ამ ბუნებრივ ობსერვატორიიდან—ამომავალი მზის სხივებით და მათის ფერადოვნებით დატკბობა,—ადამიანს ძალაუნებურად ქედს მოახრევინებს თავის სიდიადის წინაშე და წამოაძახებინებს პოეტის სიტყვებს: „ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს ფერ უთვალავსა ქმნილებას, სინათლით

...ურო პირნათლად იხდიან სხვილებზე ...ონსნებმა, რომლებიც სხვილ მემამულე- ...ა წარმომადგენლებად უნდა ჩაითვალ- ...ენ, რათა დიდი ჯარიმა არ გადაიხადონ, ...ხვა ქალაქებში არსებულ ჯარიმის 12% ...აგივრად, დააწესეს 6%. ასეთს პირო- ...ებში ვაჭრები და მსხვილი მემამულენი, ...საკვირველია, თავიანთ ნებით არ შე- ...ტანენ ქალაქის კასაში გადასახადს.

✦ ქალაქის საბჭომ უკანასკნელ სხდო- ...აზე შესაძლებლად სცნო საავადმყოფოს ...აშენებლად გადადდო ზედ-მეტი 3000 ...უმანი, რადგან ამ ორი წლის წინად შე- ...დგენილ ხარჯთ-აღრიცხვით არავინ კის- ...ულობს შენობის აგებას. გუბერნატორ- ...ა დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება იმ პი- ...ობით, რომ ქალაქის გამგეობას საჯა- ...რო ვაჭრობა დაენიშნა საავადმყოფოს ...შენობის ასაგებად. 4 აგვისტოსთვის და- ...ნიშნულ ვაჭრობაზე არავინ გამოცხადდა ...და ეხლა ქალაქის გამგეობას მოლაპა- ...რაკება აქვს სავაჭრო სახლის ფაკელბერ- ...გის წარმომადგენელთან.

# პრესსა

რეაქციონული პრესსა ხოლერითაც-კი სარგებლობს რევოლიუციასთან საბრძო- ველად. ჭეშმარიტ რუსთა ოფიციოზი სხვა და სხვა „სიზმრებსა" და ამბებს ჰბე- ჭდავს, სადაც ის აზრი გაჰყავს, რომ ხოლერას განზრახ ავრცელებენ „ებრაე- ლი, პოლონელი და რუსი—რევოლიუ- ციონერი ექიმები"-ო. ვინც იცის, რა უმეცრება და ცრუმორწმუნოება არსე- ბობს კიდევ რუსეთის მიყრუებულ პრო- ვინციაში და ვისაც ახსოვს საშინელი უწესოებანი მე-90 წლებში ხოლერის დროს, იმისთვის ადვილი გასაგებია, რა ვნების მოტანა შეუძლია რეაქციონურ პრესსის ხსენებულ ბოდვას. საზოგადო- თო, ამბობს „რეჩი", შავრაზმელთა პრე- სსა საწამლავია ხალხისთვის, მთავრობა- კი ხელს უწყობს მის გავრცელებასაო.

„რუსკოე ზნამია"-სებური გაზეთები, სწერს „რეჩ"-ი, ასი-ათასობით იბეჭდება და უფა- სოდ იგზავნება რუსეთის ყოველ კუთხეში. გიჟების ფანტაზიის მოშხამული ნაწარმოები ათასობით რიგდება მაზრებში, სოფლებში, სასოფლო კანცელარიებისთვისაც კი იწერენ და იბარებენ. თითქო განზრახ უფრო მიყრუ- ებულ კუთხეებში შეაქვთ საწამლავი... გიჟებ- თან და შეშლილებთან კამათი არ შეიძლება კამათით, საბუთებით და აზრით ვერაფერს გააწყობთ ამ შემთხვევაში. მაგრამ საშინე- ლება ისაა, რომ იმ ბნელ კუნჭულებში, სადაც „რუსკ. ზნ.", მთავრობის აგენტების დახმარებით, ადვილად შედის და ვრცელდება სხვა მიმართულების გაზეთებს არც-კი უშვე- ბენ. გაზეთების მანიაკებსა და შეშლილთ მონოპოლია აქვთ მინიჭებული და თავისუფ- ლად შეუძლიათ ხალხის გონების მოწამვლა... მხეცობამდის მალე მივალთ ამ გზით, მაგრამ დამშვიდებამდე ვერასოდეს.

* * *

თავ. ტრუბეცკოი „მოსკოვ. ეჟენედ."- ში იხილავს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ რეა- ქციამ გაიმარჯვა. მაგრამ მკაცრის ანა- ლიზის შემდეგ მიჰმართავს მთავრობასა და რეაქციონერთ და ეუბნება: ნუ გი- ხარიათ—თქვენი გამარჯვება ერთობ ფუქ- სავატია და უნიადაგო:

ამ ჟამად რუსეთში სარევოლიუციო მი- სწრაფებანი და ანარხიული ინსტინქტები შე- კავებული ჰყავს მთავრობას მხოლოდ შიშით, ე. ი. წმინდა პოლიციურის ზომებით. მაგრამ რუსეთმა მწარე გამოცდილებით იცის, რამ- დენად სუსტია ის წესწყობილება, რომელ- საც მხოლოდ შიში იცავს და იფარავს. განა სულ შიშზე არ იყო აგებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე თვითმპყრობელობის მთელ ისტორიაში?! მაგრამ რა გამოვიდა? პირველი შეტაკება გარეშე მტერთან და მთელი წესწყობილება დაირღვა... დღესაც ამ ყოფაში ვართ და თუ რეაქციამ მართლა შე- ინარჩუნა პოზიცია, რუსეთი იმდენად დაუძლურ- დება, რომ უსუსტესი გარეშე მტერიც-კი ერთის წკიპურტით დასცემს ძირს ვეებერთე- ლა იმპერიას.

განსაცდელშია იმ ქვეყნის სვე-ბედი, რომელიც ისეთ ისტორიულის გაკვეთი- ლის შემდეგაც კი არ მოდის გონს, რო- გორიც იყო იაპონიასთან ომი.

# პატარა ფელეტონი

## ბიძიჩემის ქორწინება

გიჟმაჟია ბიძა-ჩემი,
მით აკვირვებს მთელს ქვეყანას,
დღეს მესამედ ის აპირებს
ქორწილსა და ჩარფუზანას!
მან პირველი პატარძალი
გულმისულმა დაიწუნა
და ცოტახანს უპატარძლოდ
ქვეშაგებში იკრუსუნა!
დაუძახა მეორესა,
მას დაუწყო არშიყობა,
უბრძანა და დაავალა
თვისი მტკიცე ერთგულობა!
მაგრამ, დახეთ, ეს მეორეც
არ გამოდგა მის მორჩილი:
დედამთილსა, მაზლ-მულებსა,
დაეკარგათ ერთობ ძილი!
ხელში ცოცხი მოიმარჯვა,
ყველას ურტყა ერთი, ორი,
და მეორეც გამოადგა
პირველისა თანასწორი!
რას იქთ, ბედი არ ჰქონია,
არა სწყალობს ღმერთი ბიძას,
ოხ, უფალო, შეიბრალე,
მიაბარე მალე მიწას;
თორემ ორჯელ დაქვრივება
ტანჯვაა და წამებაა,
მაგრამ ბიძა გულს არ იტეხს,
საქმე წმინდა სამებაა!
და აი დღეს სულ სხვა რიგად
ემზადება საქორწილოდ,
პატარძალი სურს მორჩილი,
სუფრა ტკბილი უპილპილოდ!
ვნახოთ, რითი გათავდება
ეს მესამე ჩარფუზანა;
მე კი მგონი, ბიძას ცხვირზე
დააჯდება კვლავ კრაზანა!

ი. ევდოშვილი

# მუშების ცხოვრება

**ქრონიკა მუშათა მოძრაობისა უცხოეთში.**

**შვეიცარია.** როგორ წინადაც ვწერ- დით, ქალაქ შოდეფონდში გაიმართა კო- ნგრესი რომანულ შვეიცარიის შეერთე- ბულ მუშათა კავშირისა. კონგრესი დაი- წყო 28 ივლისს. მან განიხილა ორგანი- ზაციების სამი თვის მოქმედება: ანგარი- ში კონფედერალურ კომიტეტისა, კასი- სა, ჟურნალისა და მიიღო ახალი სინდი- კატები და სხვა. კონგრესმა ერთხელ კი- დევ მიაქცია ყურადღება ფედერატიულ და ავტონომიურ პრინციპებს და სცნო, რომ, მხოლოდ იმ მუშათა ორგანიზა- ციებს შეუძლიანთ იყვნენ ძლიერნი, რო- მელნიც ამ პრინციპებს აღიარებენ. ამ საკითხის გადაწყვეტაში შვეიცარიის მუ- შათა ორგანიზაციებს უფრო რადიკალუ- რი შეხედულება ემჩნევათ, ვიდრე საფ- რანგეთისას. ამ მუშათა ორგანიზაციებს სავსებით აქვთ შესისხლხორცებული ის ორგანიზაციური და იდეიური პრინციპე- ბი, რომელიც აღიარებულ იქნა 38 წლის წინად იურის ფედერაციის მიერ. იურის ფედერაცია გული და სული იყო დიდ ინტერნაციონალისა წარსულ საუკუნის მესამოცდა-ათე წლებში. საქმეების გა- დაწყვეტის შემდეგ ძმურად დაიშალა კო- ნგრესი, რომელიც მხოლოდ მუშებისა- გან შესდგებოდა.

როგორც საფრანგეთში, ისე შვეიცა- რიაში ბურჟუაზია და მისი ყურმოჭრი- ლი მონა მთავრობა ყოველ ღონეს ხმა- რობს, რომ შეავიწროვოს მშრომელი ხალ- ხი და ხელი შეუშალოს სოციალისტურ აზროვნების გავრცელებას. მთავრობა და- ურიდებლად სთელავს კრების, სიტყვის, ბეჭდვის და სხვა თავისუფლებას. ვალეს კანტონში, მაგალითად, ერთის სოცია- ლისტურ გაზეთის გამყიდავებს აეკრძა- ლათ ამ გაზეთის გაყიდვა. ხშირად ნებას არ აძლევენ რეფერატის წაკითხვისას, ხოლო რეფერენტს 24 საათის განმავ- ლობაში აძევებენ.

აუტანელია აგრეთვე ფაბრიკის ცხოვ- რება; ყველაზე მეტად შევიწროება ემ- ჩნევა შოკოლადის ფაბრიკებში მომუშა- ვეთ, თუმცა მათ გვარიანი შეღავათი მო- იპოვეს მარტის საყოველთაო გაფიცვის დროს. განსაკუთრებით ტანჯვაში არიან მომუშავე ქალები. არიან ახალგაზდა 15 წლის ქალებიც.

შვეიცარიაშივე გაიფიცნენ ხეზე მო- მუშავენი. ალაგ-ალაგ გაფიცვა გათავდა. ზოგან მუშებმა უკვე მოიპოვეს 9 საა- თის სამუშაო დღე და ხელ-ფასიც მოა- მატებინეს. ქ. შოდეფონდში გაიფიცნენ კალატოზები. საქმე მწვავდება მუშებსა და პატრონებს შორის. ელიან საყოველ- თაო გაფიცვას. ქალაქის მუშათა ფედე- რაცია უკვე ეწევა პროპაგანდას საერთო გაფიცვისათვის. მალე ვაცნობებთ მკით- ხველს რითი გათავდება საქმე.

**ავსტრ-ჰუნგრეთი.** მოგვყავს საინტე- რესო სტატისტიკა, რომელიც დაბეჭდი- ლია გაზეთ „Typographie Français"- ში. სტატისტიკა შეეხება ავსტრ-ჰუნ- გრეთში არსებულ მუშათა სინდიკატებს. 1906 წლის დეკემბერს სინდიკატებში ირიცხებოდა 448,270 წევრი; აქედან 125,000 ახალი წევრი იყო შეძენილი, 1905—1906 წ. ყველაზედ მჭიდროდ ლითო-ამწყობნი არიან შეკავშირებულნი. იმათ შემდეგ პირველი ადგილი უჭირავთ ნავთსადგურების მუშებს, რკინის გზის მომუშავეებს, ქიმიურ ფაბრიკებში მო- მუშავეებს, ქაღალდსა, თიხასა და სპი- ლენძზე მომუშავეებს. ამათ მისდევენ წიგნის მკაზმავნი, ყავახანების მოსამსა- ხურენი, ხეზე მომუშავენი, მაღაროების მუშები, ბოჭკების მკეთებელნი, მექუდე- ები და სხვა. მარტო ვენასა და იმის გა- რეშემო სინდიკატებში ითვლება 127,000 მუშა, ქვემო ავსტრიაში—160,000, და ბოჰემიაში—148,398, ხოლო გალიცია- ში, რომელიც სივრცით ბევრად დიდია ბოჰემიაზე, ითვლება მხოლოდ 12,805.

ვ. ღ.

# პროვინციის ცხოვრება

**დ. სურამი.** აგერ წელიწად-ნახევარია, რაც სამკითხველოს წიგნები ყუთებში მოა- თავსეს და ნესტიან სარდაფში გამოუკეტეს კარები. თორმეტი წლის ნაამაგარი, წვითა და დაგვით შენახული და ათას გვარ შემო- წირულებით შეძენილ წიგნებს, დღეს ნე- სტიან სარდაფში თაგვები დაპატრონებიან და თავიანთ გალესილ კბილებით სცდილო- ბენ, რაც შეიძლება მალე, ნაკუწ-ნაკუწად აქციონ ათასამდის რუსულ-ქართული წიგნი და მით აღსრულებაში მოიყვანონ საზოგა- დოებისაგან გარდაწყვეტილი სასჯელი; რა- საკვირველია, საზოგადოება არ მოტყუებუ- ლა, რომ თავის მიერ გამოცემულ კანონე- ბის აღმასრულებლად ასეთი ბეჯითი და მხნე მუშაკნი უშოვნია, მაგრამ საკითხი ის არის, თუ რისთვის მიუსაჯა მან ასეთი სატანჯველი სამკითხველოს? დიდი ხანია ვცდილობთ გავიგოთ ამისი მიზეზი, მაგ- რამ ვერას გავხდით. ამიტომ ვთხოვთ სა- მკითხველოს გამგეობას, გამოაქვეყნოს მი- ზეზი ამდენი ხნის სამკითხველოს დაკეტ- ვისა.

ოთხ აგვისტოს ხაშურის დუქანში ორ უმაწვილს, სმის დროს, შეხირება მოსვლი- დათ, საქმე იქამდის მისულა, რომ ერთ მათგანს რევოლვერიც გაუსროლია. ამ დრო' საიდანღაც გაჩენილა ჩვენი ვითომდა წეს რიგის ნამომგლები თავის სტრაჟნიკებით და ატეხნა სროლა, რომლის შედეგიც ის იყო, რომ ოთხი კაცი დაჭრილი აღმოჩნდა. ამ უმიზეზო სროლამ დიდი შიში აგრძნო- ბინა ხაშურის ს... ...; ნი ხომ უგზო-უკვლოდ ... ...ი ასეთ დღეში ვართ ... მეთაურებისაგან.

წუთი-სოფელი.

**ფასანაური.** აგერ გავიდა ზაფხული და ჯერ ორ დღეს კარგი ამინდი არ გვინახავს. აჟინებულმა წვიმებმა ხალხს ბევრნაირად შეუშალა ხელი, მთაზედ სათიბად ვერ წა- ვიდა და თუ ვინმემ გათიბა რამე, სულ ჩაალპო წვიმამ. ყანები ისევ შემოუსვლელია. არაგვმაც წარსული მოიგონა და მოჰფინა მთელი არე; ხიდები არსად დააყენა ჩაუ- შლელი და გლეხკაცებს თითქო მონახევ- რეაო, მიწები ჩაუჭრა. წაიღო ფასანაურის ხიდიც, რომელიც სამხედრო უწყების გაკე- თებული იყო; ეს იყო ერთად ერთი ნუგე- ში გუდამაყრელებისა, ამაზედ გაჰყავდათ საქონელი: ცხვარი, ძროხა, ცხენი და სხვა. თუმცა ბოქაულმა საფეხო ხიდი გააკეთებინა ხალხს, მაგრამ ამაოდ, ორ დღეს ვერ გაუ- ძლო აზვირთებულს არაგვს. რაკი არაგვი აიმღვრევა და წამოვა ღრიალით მთებიდან, —თქვენი მტერი, ახლოს ვედარავინ მიუდ- გება! ამეების გამო გაზაფხულზედ გამო- სატანი მატყლი ჯერაც არ გამოსულა.

მთამზე.

# რუსეთი

✦ **იარაღის კონფისკაცია.** 31 ივ- ლისს ასტრახანში პოლიციამ აღმოაჩინა დიდძალი იარაღი, რომელიც ყაზანიდან ასტრახანში იყო გამოგზავნილი გემით. იარაღი ჩაწყობილი იყო 45 ყუთში. პო- ლიციამ ექსპერტები მიიწვია იმის გასა- გებად, თუ გამოსადეგია თუ არა ეს ია- რაღიო. აფიცრებმა გასინჯეს იარაღი და შემდეგი აღმოჩნდა: 45 ყუთში ჩალაგე- ბული იყო 501 თოფი ბერდანის სისტე- მისა. 195 თოფი დამოკლებული იყო, ლულები ახლები, 3 და 4 ლინეიანი. თო- ფებს ისეთი ბეჭდები ჰქონდა დაკრული, საიდანაც სჩანდა, რომ იარაღი მიღებუ- ლი იყო სამხედრო კომისიის მიერ. (ზ. ი.).

✦ **მილიუკოვის გასტროლები.** ამე- რიკელ მილიარდერს კარნეჯის განუზრა- ხავს ამერიკის რჩეულ საზოგადოებისთვის ლექციების მოწყობა და ამისთვის მთელ ქვეყნიდან საუკეთესო მცოდნე ლექტო- რები დაუბარებია. სხვათა შორის ევრო- პიდან დაბარებული არიან ჰუნგრეთის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გრაფი აპონი და რუსეთის „კა- დეტთა" პარტიის ბელადი მილიუკოვი, რომელიც საშობაოდ აპირობს წასვლას ამერიკაში და იქ სამი ლექციის წაკით- ხვას. საყურადღებო ის არის, რომ სხვა- თა შორის ლექციებს წაიკითხავს ამერი- კის პრეზიდენტი რუზველტი.

---

აქრობ სიბნელეს, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!.."

აქ ადამიანის სულსა და გულს ხიბლავს, იმონებს, იპარავს ბუნების სიდიადე; აქ მას ავიწყდება ყოველივე: სოფლიური ჭირ-ვარამი, ქალაქის აბობოქრებული ცხოვრება, გაიძვერა და სინიდისს გა- რეცხილ პირთა ბოროტებანი, ძლიერთა ამა სოფლისათა აღვირ-წახსნილი თავ- აშვებულობა... აქ, ფიჭვთა და ნაძვთა სამეფოში, ადგილი არა აქვს ბოროტე- ბას! აქ ვერც ვინმე იფიქრებს ბოროტე- ბაზე, ისე შთაინთქება მისი არსება გა- რემოთი. აქ ადამიანი ბუნების რაღაც საოცარ, ზენაარ გავლენით ეძლევა და- ვიწყებას და ამ დავიწყებაში ისვენებს და ჰპოვებს სულიერს და ფიზიკურს კმაყოფი- ლებას. აქ ბუნება ადამიანს ფიჭვ-ნაძვნა- რის პირით იესოსავით ეუბნება: „მოვე- დით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისვენო თქვენ".

—

ძლიერი სული ძლიერ სხეულშიაო", ამბობდნენ ძველად და, აი, ძლიერი სხეულის შემქნელია სწორედ ბუნება, მასთან დაახლოვება, მის წიაღში ყოფნა, მის მაკურნებელ შეზავებულ ჰაერით სუნ- თქვა. ეს ჰაერი საზრდოა, ყოველ საზ- რდოზე უძვირესი და უპირატესი. თი- თოეულმა ჩვენგანმა, ალბად, კარგად იცის, რომ ჩვენს მთიულთა შორის ბევ- რია ასი წლის ხნოვანების ადამიანი. მთა- გორიან იმერეთში (მაგ., ოკრიბაში) მი- უხედავად იმისა, რომ ხალხი ბარის მცხოვ- რებლებთან შედარებით მოკლებულია ნაყოფიერ საზრდოს, უფრო ჯანსაღია და უფრო ხანგრძლივიც. საანბანო ჭეშ- მარიტებაა, რომ ბუნება თავის მოხდე- ნილობით და წმინდა ჰაერით საუკეთე- სო მკურნალია ადამიანისა. ხოლო ისე- თი ბუნება და საღი მთის ჰაერი, ფიჭვ- ნაძვნარის სუნნელებით შეზავებული, რო- გორიცაა პატარა ცემსა და მის მიდამო- ებში—პირდაპირ მკურნალთა მკურნა- ლია.

თუმცა ჩვენს ქვეყანაში ბევრგანაა ისე- თი ადგილები, რომლებიც ჩინებულ სა- ზაფხულო და სამკურნალო აგარაკებად გამოდგება, მაგრამ ასეთი ადგილები ხში- რად ხელ მიუწვდომელია ხალხისთვის და ამ ხელმიუწვდომლობას შესაძლოდ ხდის უპირველეს ყოვლისა უგზოობა. სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად პატარა ცემს არც ეს ნაკლი აქვს და აი სწორედ ამიტომ ამ რამდენისამე წლის წინად ექიმმა იმ თავითვე ამხანაგებს გაუზიარა და სურდა საამხანაგოდ მოეწყო სანატ- რიუმი, მაგრამ ჩვენებურმა დაუდევრო- ბამ და გულგრილობამ აქაც იჩინა თავი და ექიმთა უმრავლესობამ ყური მოიყ- რუა. ის კი არა, მგონი მეოცნებეც კი უწოდეს. ინიციატორი არ შედრკა და სამიოდ წლის წინად კიდეც შეუდგა პატარა ცემში თავის განზრახვის სი- სრულეში მოყვანას. სძლია ყოველსავე დაბრკოლებას და, აი, დღეს პატარა ცე- მში ვხედავთ მშვენიერს სანატორიუმს. უნ- და აღვიაროთ, რომ ლამბაშიძეს ჩინებუ- ლი არჩევანი მოსვლია, როცა პირველად სწორედ აქ განუზრახავს სანატრიუმის და- არსება. ზედ რკინის გზის პირად, სადგურ ნიკოლაევისა და საკოჰავოს შუა, ვრცელ ვაკეზე, რომელიც ირგვლივ ფიჭვ-ნაძვნა- რითაა შეზღუდულ-შემოსილი, გამარ- თულია სანატორიუმი ჰიგიენურად მოწყო- ბილ ხის სადგომებით, გასართობ-სათამა- შოებით და სხვა. მზის სხივები უხვად ეფრქვევა ამ არე-მარეს და ჰაერს შესა- ფერის სიმშრალეს აძლევს. კოლონიას ცალი მხრით ჩაუდის ბაკურიანის წყალი, საითკენაც ჩინებული ბილიკები მიუყვება ნაძვნარში. ხეობა მიმზიდველია თვის გა- მოქვაბულით და ჩანჩქერით. აქვე, ამ ჩან- ჩქერთან ლამბაშიძე ფიქრობს საცურავო ტბა გამართოს ნავ-ტიკებით. სანატორიუმ- ში მყოფთათვის ეს ფრიად სასიამოვნო და თან სასარგებლო ვარჯიშობა იქნება. ჩანჩქერს თავს დაჰყურებს ბუმბერაზული ნაძვნარი. ზიხარ ტყეში მარტოკა, შეჰ- ყურებ თვალუწვდენელ ფიჭვისა და ნა- ძვის ხეებს, ყურს უგდებ მათ იდუმალ ჩურჩულს, თავს დასდგომიხარ რძის ფე- რად აქაფებულ ჩანჩქერს, შორით გაჰყუ- რებ მწვანე ხავერდ გადაკრულ ფერდო- ებს და ამ ბუნების წიაღში ჰგრძნობ რა- ღაცა გამოუთქმელ ნეტარებას, სრულ კმაყოფილებას, სხვისა რა მოგახსენო და მე კი სწორედ ასეთი წამები განვიცადე იქ. მე იქ ვიყავი სრულიად ბედნიერი, დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამი- ანი. აღფრთოვანებულ სალამს ვუძღვნი- დი თითოეულ ნაპრალს, თითოეულ ნაძ- ვსა და ფიჭვს, მდინარის ჩხრიალს და ყვე- ლაფერს, რაც თვალსა ხვდებოდა. მშურ- და თითეულ მცენარის უმანკოებრივი ბე- დნიერება და ვწყევლიდი იმ დღეს, რო- დესაც ადამიანი ასე სასტიკად დაშორდა ბუნებას და ლამის მასთან ყოველივე კავ- შირი გასწყვიტოს. მაგრამ ბუნებას ლმო- ბიერებასთან ერთად სიმკაცრეც დიდი აქვს და თავის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს იგი დაუსჯელად არა სტოვებს. „ნუ გამირბიხარ, ადამიანო, მომიახლოვდი, აჰა შენთვის ჩემი უხვი კალთა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად დაგსჯიო."

—

სანატორიუმი მოთავსებული, რო- გორცა ვთქვით, მაღლობ ვაკეზე, 4,000 ფუთის სიმაღლეზე. შესანიშნავი ადგილ- მდებარეობა, მსუბუქი და მჩატე მთის ჰაერი და სასურველი მყუდროება ამ ადგილს ხდის შესაჩნევ სააგარაკო ადგი- ლად და განსაკუთრებით საყურადღებოა ესრედ წოდებულ ზეზე ავადმყოფთათვის, როგორნიც არიან, მაგ., ნერვებაშლილნი, სისხლ ნაკლულნი, მადა-დაკარგულნი, ცი- ებით ან სხვა ამგვარ სენით შეპყრობილ- ნი, სულიერად მოქანცულნი და სხვა. სანატორიუმში მწოლიარე ავადმყოფებს არ იღებენ. მოვლა და ექიმობა საუცხო- ოდაა დაყენებული. უხვი და ნოყიერი საზრდო დღეში ხუთჯერ, სამაგალითო სიმარტივე და გულახდილობა—ამ კო- ლონიას ერთ მოზრდილ ოჯახად ხდის, რომლის წევრები თანასწორ თავისუფლად ჰგრძნობენ თავს ყველაფერში.

სანოვაგე მოუდით ჯავახეთიდან, ბორ- ჯომიდან, ხაშურიდან, ტფილისიდან და ქუთაისიდანაც. აქვთ საკუთარი თორნე, სამრეცხლო, აბანო. სანატორიუმს აქვს რკინის გზაზე საკუთარი ბაქანი, სადაც მატარებელი ყოველთვის ორ-ორი წამით ჩერდება.

ბავშვებისთვის შეძენილია ადგილობრი- ვი და ევროპიული სათამაშოები, თუმცა უკანასკნელს ყმაწვილები მაგრე რიგად არ ეტანებიან; ამათ უფრო მოსწონთ თოფობანა; რევოლიუციონური ხანაა და ალბად, ამიტომ...

სანატორიუმში უმთავრესად პატარები არიან. ბავშვების მშობლებს ყოველ კვი- რა ექიმისაგან ეგზავნებათ ბარათები მათი შვილების მდგომარეობის შესახებ. ერთის სიტყვით, საქმე მშვენიერადაა და- ყენებული; ბ. ლამბაშიძეს ეტყობა, რომ თავისი შრომა და ცოდნა არ დაუზოგავს, რომ ეს საქმე რიგიანად დამდგარიყო, მაგრამ რაც უნდა ენერგიის პატრონი და საქმის მოყვარული იყოს ადამიანი, ის მაინც ჯეროვან-სასურველ წერტილამდე ვერ მიიყვანს თავის დაწყებულებას, მით უმეტეს ისეთ დაწესებულებას, რომელ- საც საზოგადოებრივი კეთილდღეობა აქვს აზრად დასახული, თუ მას საზოგადოებაც მხარს არ უჭერს. საზოგადოება, რომელსაც შეუგნია უზენაესი მოვალეობა მომავალ თაობის წინაშე, რომელსაც სურს, რომ მისი შთამომავლობა წარმოადგენდეს სუ- ლითა და სხეულით საღ ადამიანთა საზოგა- დოებას, აუცილებლად მოვალეა დახმარე- ბა აღმოუჩინოს ისეთ დაწესებულებას, როგორც, მაგ., სანატორიუმია. თუ არ ჩვენ, ვინ უნდა იზრუნოს ჩვენს აწმყოსა და მომავალზე? ვინ უნდა დაუბრუნოს ჩვენს შვილებს სკოლაში თუ მემკვიდრე- ობით თანდაყოლილი შერყეული ჯანი? ეს შეუძლია ჩვენს დიდებულ ბუნებას და საექიმო მეცნიერებას. ერთი უმეო- როდ სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს; ამ შემთხვევაში ბუნება და მეცნიერება ერთმანეთს შველიან, ესენი ერთმანეთის დახმარებით ჰკურნავენ იმ საშინელ ნაკლს, რომელსაც ჰქვიან ადამიანის შერყეული ჯანმრთელობა.

სტუმარი.

✦ **ციხე-სიმაგრეთა გაუქმება.** „Es. Finl." იუწყება, ვითომ რუსეთის უმაღლეს სამხედრო წრეებში გადაწყდა სვეაბორგის ციხე-სიმაგრის გაუქმება. ამბობენ, ვითომ ასეთივე ბედი მოელით ბათუმისა, კერჩისა, ლიბავისა და დვინის ციხეებს.

✦ **ჯარიმა.** ერთი დღის განმავლობაში პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა 190 კაცი დააჯარიმა 66000 მანეთით.

✦ **ჟურნალის დაპატიმრება.** პეტერბურგის ცენზურამ დააპატიმრა მეექვსე ნომერი ჟურნალის „რუსკოე ბოგატსტვო"-სი.

✦ **პარტიების ცხოვრებიდან.** მოსკოვიდან იუწყებიან, რომ ოქტომბრისტების მიერ შედგენილმა გლეხთა პარტიამ გადასწყვიტა ენერგიული მონაწილეობა მიიღოს მომავალ არჩევნებში და მოსკოვიდან მხარი დაუჭიროს ცნობილ ვექილს „კადეტს" მაკლაკოვს.

მოსკოველ „კადეტებს" გადაუწყვეტიათ ქალაქ მოსკოვიდან დეპუტატებად წამოაყენონ კანდიდატურა შჩეპკინისა და ჩელნოკოვისა, ხოლო გუბერნიიდან მეორე სათათბიროს თავმჯდომარის გოლოვინისა და თავ. პ. დოლგორუკისა

## წერილი რედაქციის მიმართ

„ისრის" მე-95 №-ში დაბეჭდილია სტატია ზღვის პირელისა ამ სათაურით: „ხორციელდება პროლეტარიზაცია", სადაც ავტორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ს. დ. პარტიის სახელით ვიღაც ვაჟბატონები სოფელ-სოფელ დადიან და ხალხს აბრეშუმის მოყვანას უკრძალავენო. მე არა ვკისრულობ არც დაცვას, არც უარყოფას იმ ფაქტებისას, რომლებიც ავტორს მოჰყავს თავის წერილში; რამდენადაც ვიცით, თვით ს. დ. მხრითაც დასაბუთებული უარყოფა ამ ფაქტებისა არა ყოფილა წამოყენებული. მხოლოდ გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ იმ წერილის ავტორი მე არა ვარ, და ამით ბოლო მოუღოთ იმ უსაფუძვლო ხმებს, რომლებიც ჩემ შესახებ გაუვრცელებიათ აქ ზოგიერთ ს.-დ—ების გულშემატკივართ.*) **დ. თომაშვილი-ოყრეშიძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რუსეთში.**

11 აგვისტო.

**ვილნო.** 8 აგვისტოს კონდრატიევის სავაჭროში სამი ებრაელი შევიდა, «ხელები ზევით»-ო, დაიძახა და კასისაკენ გაემართა. მოვაჭრე ქალები გაიქცნენ უკანა ოთახისკენ, სადაც ადგილობრივი „რუსის ხალხის კავშირის" წევრი ჩაისა სვამდა. უცნობები გაქცეულებს სროლით გამოუდგნენ, მაგრამ კავშირის წევრები სროლითვე დაუხვდნენ. თავ-დამსხმელები გაიქცნენ. მსუბუქად დაიჭრა ხელში ადგილობრივი რუსთა კავშირის თავმჯდომარე ლიზინი. კონდრატიევი კავშირის მდივანია.

12 აგვისტო.

**სიმფეროპოლი.** მელიტოპოლში გასმარცვეს სადგურზე მიმავალი ფოსტა, წაიღეს ტომარა, უბრალო და საგანგებო კორესპონდენციით სავსე.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრმა წინადადება მისცა უნივერსიტეტის მთავრობას, განუმარტოს თავისუფალ მსმენელ ქალებს, რომ სწავლის მოსმენის მოწმობას ისინი ვერ მიიღებენ და ვერც საბოლოო გამოსაცდელ კომისიაში მიუშვებენო. სტუდენტ ქალების უფლების ვაჟებთან გათანასწორება კანონმდებლობის საქმეა და ამიტომ სამინისტრო ამას ვერ გადასწყვეტსო.

**ლოძი.** ნაშუადღევის 2 საათზე პეტერბურგის მახლობლად 10 შეიარაღებული კაცი პრიმორსკი რკინის გზის ვაგონში შეიჭრა. ვაგონში იჯდა სესტრორეცკის იარაღის ქარხნის ხაზინადარი, თან ახლდა კურიერი და ჰქონდა 13,000 მანეთი. უცნობებმა სროლა ასტეხეს. სასიკვდილოდ დასჭრეს მგზავრი პოდპოლკოვნიკი სურენკინი და კურიერი. ფულის პარკი გაიტაცეს და გაიქცნენ. 1260 მანეთი, ვერცხლისა და სპილენძის ფული დაჰყარეს და მიიმალნენ.

**მოსკოვი.** სამი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ბერზინგის ლიტოგრაფიის მეპატრონეს, რომელსაც 1200 მანეთი მიჰქონდა. წაიღეს მხოლოდ 20 მანეთი. თავდამსხმელთ გამოუდგნენ. გზაზე დასჭრეს უბნის ზედამხედველი, მეეზოვე, ვიღაც გზაზე მიმავალი და მეეტლე. ერთმა თავდამსხმელმა თავი მოიკლა, მეორე შეიპყრეს, ხოლო მესამე მიიმალა.

**მოსკოვი.** იაროსლავის საერობო საავადმყოფოში გარდაცვალებულის გლეხის ქალის გოლუბევის ნაწლევები ბაქტერიოლოგიურად გამოიკვლიეს და შიგ აზიურ ხოლერის ბაცილები აღმოჩნდა.

**სარატოვი.** ცარიცინის მაზრის სოფ. კარავინკაში ერთი კაცი ხოლერით ავად გახდა.

**ცარიცინი.** ასტრახანიდან მოსულ გემის კაჩეგარი ნაპირს გადმოიყვანეს კაჩეგარი ხოლერით არის ავად.

**ვარშავა.** სოფ. ვოლიაში. ვიღაც უცნობმა დასჭრა სტრაჟნიკი, გზად მიმავალი ებრაელი და ერთი კაზაკი.

**კრასნოიარსკი.** აჩინსკში, როდესაც ავაზაკის დაედევნენ, მოჰკლეს ურიადნიკი.

**ეკატერინოსლავი.** ქალაქ სალახ-ხანის მახლობლად იპოვნეს მიწაში ჩაფლული დინამიტი, ვერცხლის წყალი და საქიმიო ლაბარატორიის იარაღი.

**ლოძი.** სოფ. დუმბოვკაში მძარცველები თავს-დაესხნენ აქციზის ფულის ამკრეფს. ფულის ამკრეფს თან ახლდათ ორი ჯარის კაცი. ერთი მოჰკლეს. ფული ვერ წაიღეს.

**ვარშავა.** დააპატიმრეს პოლონეთის სოციალურ პარტიის სარევოლიუციო ფრაქციის 33 წევრი.

ექვსი კაცი შეიპყრეს, იმათ 31 ივლისს „ოხრანის" აგენტზე თავ-დასხმას აბრალებენ.

**კამენეც-პოდოლსკი.** გამოირკვა 5 აგვისტოს ებრაელების სახლების აკლების ამბავი. საქმე ამნაირად ყოფილა. ვანეტიკის საფართლოში გლეხის ქალს ჩითის ნაჭრის მოპარვა განუზრახავს. ვანეტიკს შეუმჩნევია და ქალისთვის სილა გაურტყავს. ქალს ყვირილი მოურთავს. ყვირილზე მოგროვილა ათასამდე კაცი და ქალი და აკლებას შესდგომიან. ჩქარა ცხენოსანი რაზმი მისულა, მაგრამ ხალხს მათთვის ქვები დაუშენია: ორ-სამჯერ გაფრთხილების შემ ეგ რაზმს თოფი უსროლია. ორი გლეხი მომკვდარა და რამდენიმე დაჭრილა. ბრბო გაფანტულა.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლოში მეთქმულობის საქმის განხილვის დროს მოისმინა ექსპერტის აზრი მახოვის და ბურინსკის ხელ ნაწერის შესახებ. შეუდგნენ ცარსკოე სელოს სასახლის პარკის გეგმის დათვალიერებას და შედარებას. ჩამოართვეს ჩვენება მებრომიურე ნესტოროვს. გამოაქვეყნეს გეგმათა შედარების შედეგი, წაიკითხეს ნიკიტენკოს სახელზე მოსული საიდუმლო წერილები და დეპეშები, წაიკითხეს დათვალიერების პროტოკოლები და სხ.

**ავგუსტოვი.** პოსადი რაჩკი იწვის. უკვე დაიწვა 70 სახლი.

**უცხოეთში.**

11 აგვისტო.

**ლონდონი.** 8 აგვისტოს ცხენოსან არაბებისმლიერმა რაზმმა ფრანგებზე იერიში მიიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. არაბებმა სამჯერ კიდევ მიიტანეს იერიში, მაგრამ უნაყოფოდ.

საზოგადოებათა პალატაში მორლეიმ განაცხადა, რომ მთავრობამ კომისია დანიშნა იმის გასარჩევად შეიძლება თუ არა დეცენტრალიზაციის შემწეობით გაუმჯობესდეს დამოკიდებულება ინდოეთის მთავრობისა და მის ხელ ქვეით საადმინისტრაციო ორგანებს შორისაო.

საზოგადოებათა პალატა შოტლანდიის მიწის მფლობელობის ბილლის შესახებ შეკითხვაზე კემპბელ ბანერმანმა განაცხადა: ლორდთა პალატა ცინიკურად და უპატიოდ ეპყრობა შოტლანდიის ხალხის საჭიროებას და მოთხოვნილებას. საზოგადოებათა პალატამ კანონ-პროექტი ხელ მეორედ უნდა შეიტანოს და დაუყონებლივ მიიღოს. შემდეგ მთავრობა წინადადებას მისცემს ლორდთა პალატას ან პირდაპირ უარჰყოს კანონ-პროექტი, ან მიიღოს გონივრული შესწორებითაო. (ტაში მინისტრების სკამებიდან). ბალფურმა პასუხი გასცა და განაცხადა, მე მსურს მხოლოდ ლორდთა პალატასთან საკამათოდგამოვიწვიოთო.ცხარე კამათის შემდეგ პალატა მორიგ საქმეების გარჩევას შეუდგა.

**ლონდონი.** ელ-კასაქიდან 8 აგვისტოს მოსულ ცნობით, 6 აგვისტოს ელმერანის რაზმი დასცემია რაისულს; რაისულს იერიში მოუგერია. ტანჟერიდან იუწყებიან, ევროპიელნი ფეციდან ზღვის პირისაკენ მიდიანო.

**ბერლინი.** გროსლიხტერფელის მამასახლისმა ნება დართო რუსის და ავსტრიის ქვეშევრდომ პოლონელებს, იმუშაონ მხოლოდ სოფლის მეურნეებთან. მრეწველებს წინადადება მისცეს, 8 აგვისტოსთვის ყველა პოლონელი მუშები დაითხოვონ.

**ჩერნიგოვი.** ელეცკის მიძინების მონასტრის სამრეკლოში ორი ყუმბარა იპოვნეს.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ხსენებული წერილი სულ სხვა კაცს ეკუთვნის და არა დ. თომაშვილ-ოყრეშიძეს. რედ.


# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება

## ა. საკუელისა

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში.

წიგნი ღირს 20 კ და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების" და „Новая Рѣчь"-ის მაღაზ. (0—უ.—19)

თელავში „ნადიკვარს" ახლოს,

იყიდება თორმეტი ნაჭერი სამოსახლო მიწა; თვითეული შეიცავს-ას ოთხკუთხიან საჟენს (10×10). უბნის შუა, ჯვარედინად, დატოვებულია საკმაო ადგილი ბულვრისათვის. მთელს უბანს გარშემო უვლის გზა, ასე რომ ყოველი ეზო ამოდის გზაზე და ბულვარში. ფასი თვითეულის ნაჭრისა—ასი მანეთია. აქედან ნახევარი დანიშნულია ბულვარისა, ქუჩისა, წყაროსი და სხვა საზოგადო საჭიროებათა მოსაწყობად საერთო ძალით და ჩრჩევით. წყარო ბულვარის შუაზე უნდა იქმნას დაყენებული. ფული მსურველს შეუძლიან გადაიხადოს ერთხნობით ანუ ნაწილ-ნაწილად, მაგრამ არა ნაკლებ ორის მანეთისა თვეში, რომ ოთხ წელიწადში მოშორებულ იქმნას მთელი ფასი. გარდა ამისა მსყიდველი მოვალეა შემოიტანოს ყოველთვე არა ნაკლებ ერთის თუმნისა სადგომი სახლების ასაშენებლად ყოველი მოსახლისათვის, ვიდრე გადაიხდიდეს მთელი შენობის დანახარჯსა. თვითეული სახლი უნდა შეიცავდეს ორ სამ ოთახსა, სამზარეულოსა საკუჭნაოთი და ბალკონსა ერთს ჭერს ქვეშ, არა ნაკლებ 5×5 საჟენისა ამათს ქვეშ. მსყიდველი შედის ადგილის მოხმარებაში პირველი შესატანის დღიდანვე (არა ნაკლებ 12 მანეთისა, რაშიაც მიეცემა საანგარიშო წიგნაკი), მაგრამ ნასყიდობის ქაღალდი კი მხოლოდ სრული ფასის გადახდის შემდეგ შესდგება მსყიდველის ხარჯით. სადგომი სახლები უნდა აშენდეს ბულვრის მიჯნის შუაზე, რომ მეზობელი მეზობელს არ უშლიდეს და სახლსაც მეტი სინათლე და ბინა ჰქონდეს, ხოლო სათონე, საქათმე, ბოსელი და სხვა—გზის მიჯნის შუაზე. ვინც მოხსენებულს პირობებს დაარღვევს, მამული სხვას გადაეცემა და შემოტანილი ფულიც ახალი პატრონისაგან ფულის შემოტანის დაკვალად დაუბრუნდება.

მისამართი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (5—ფ.—1)

# ახლად მოწყობილი სტამბა „იდეალი"

მიიღება ყოველგვარი საქმე რუსულ და ქართულ ენაზე

# ავადმყოფებს და სუსტებს

## „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშვრებს მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი" შედეგია **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოკავშირებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჰლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

«**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ «სპერატინისთვის». 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც, ყველაფერზე ვტიროდი. „სპერმანის" ორი ფლაკონის მიღებია შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიმშვიდე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ზოსსი.** მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11. ბ. № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.».

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა" დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ხ. კიუმინკერ.** 19 აპრილი 1907 წ.

„ივანოვის „სპერმანტინის" ლაბორატორიაში („სპერმინი"). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი" და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადაწყვიტე ვიარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1მაისი 1907 წ."

**მ. ხ. ბ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით". ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკეთ ვიგრძენ თავი, ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება. გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის" ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შემწეობისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი" ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „სპერმატინმა" ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (6—212—3)

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას", რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭდს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წრიულად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიმელლერისა

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა,

## ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვე საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—48)